

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე

საკრებულოს თავმჯდომარის წლიური ანგარიში

(საანგარიშო პერიოდი: 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 20 ნოემბრამდე)

პატივცემულო კოლეგებო,

მოგესხნებათ, საკრებულოს მუშაობა და მისი უფლებამოსილებები განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარისა და ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის თავდაპირველ მიზანს წარმოადგენს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა, ღრმად მაქვს გააზრებული თუ რა მნიშვნელობის არის იყო ხალხის რჩეული ისეთი მაჩვენებლით, როგორც არჩევნების შედეგებმა გამოამჟღავნა, ნიგვზიანის მოსახლეობის თითქმის აბსოლუტურმა უმრავლესობამ გამომიცხადა ნდობა და მე ვალდებული ვარ ვიყო თითოეული მათგანის ოჯახის წევრი, მათი გაჭირვებისა და ლხინის გამზიარებელი.

საჭიროა ისეთი ქმედითი ღონისძიებების გატარება, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ცხოვრობდეს რაც შეიძლება ნაკლები შეჭირვებული. სწორედ ამიტომ, ჩემი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის ფუნქცია, გარდა წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული უფლებამოსილების გატარებისა, არის მეტი სიახლოვე თითოეულ მოქალაქესთან, შესაბამისად ნაკლებად მიხილავთ კაბინეტში მყოფს და ამავეს მოვითხოვ თითოეული ჩემი კოლეგისგან თუ თანამშრომლისგან.

აქვე განვმარტავ, რომ ანგარიშის ფარგლებში ნაკლები ყურადღება იქნება გამახვილებული ზოგად უფლებამოსილებებსა და სტატისტიკურ მონაცემზე. ძირითადი ორიენტაცია გაკეთებული იქნება როგორც სასიკეთოდ გადაწყვეტილ საკითხებზე, ასევე ჩვენს მიერ დანერგილ ინიციატივებზე, იმ პრობლემატურ საკითხებზე და მისი გადაჭრის გზებზე, რომელიც დღეს მუნიციპალიტეტის წინაშე დგას, გენდერული თანასწორობის საბჭოს როლზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის კუთხით განხორციელებულ მნიშვნელოვან საკითხებზე, მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობაზე თვითმმართველობის განხორციელებაში. თითოეული საკითხის მოწესრიგებაში მნიშვნელოვანი და მეტ შემთხვევებში გადაწყვეტი როლი კომპეტენციის მიხედვით ეკისრება ხუთივე კომისიას, ამიტომ ხაზგასმით იქნება აღნიშნული მათი როლი.

ქრონოლოგიურად დავიწყით საკრებულოს ორგანიზაციული საქმიანობის სფეროთი:

2017 წლის 21 ოქტომბერს ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საფუძველზე, 2017 წლის 20 ნოემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა, რომელზეც ცნობილი იქნა საკრებულოს 32 წევრის უფლებამოსილება. მათ შორის:

მაჟორიტარი – 17, პროპორციული სისტემით – 15 საკრებულოს წევრი („ქართული ოცნების“ პარტიული სიით არჩეულ იქნა - 10, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 2, „ევროპული საქართველო“ -2, „დავით თარხან-მოურავი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – 1 წევრი). საკრებულოს წევრთაგან - 84,4% მამაკაცია, ხოლო 15,6% ქალი.

ამავე სხდომაზე არჩეულ იქნა საკრებულოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე, შეიქმნა კომისიები და არჩეულ იქნა კომისიის თავმჯდომარეები.

პირველივე დღიდან საკრებულოს თავმჯდომარეს და მერს შორის ჩამოყალიბდა, პირველ რიგში მეგობრული, საქმიანი, კოლეგიალური ურთიერთობა, ერთიანი ძალებით და კოორდინაციით, ოპერატიულად ვცდილობთ ჩვენი მუნიციპალიტეტის თითოეული მოქალაქის პრობლემის მოსაგვარებლად ქმედითი ღონისძიებების გატარებას. ასევე კოლეგიური ურთიერთობა ჩამოყალიბდათ მერიის შესაბამის სამსახურებს და დარგობრივ კომისიებს. თითოეული საკითხი ერთობლივად მუშავდება და განიხილება მათი გადაჭრის ყველა შესაძლო გზა.

რაც შეეხება უშუალოდ საკრებულოს, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს მუშაობას, აღსანიშნავია, რომ საკრებულოს მუშაობის ორგანიზების მიზნით შექმნილია **საკრებულოს ბიურო**.

ხოლო, საკრებულოში საკითხის წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისთვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, შექმნილია **საკრებულოს კომისიები**.

თითოეული კომისია მაღალი მოტივაციითა და გუნდური მუშაობით არის მოტივირებული, რათა დროულად იქნას შესწავლილი მთელი რიგი პრობლემური საკითხები.

დღესდღეობით საკრებულოში მოქმედებს შემდეგი მუდმივმოქმედი კომისიები:

- იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია - საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 13 სხდომა.
- საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - 19 სხდომა.
- ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია - 12 სხდომა.
- სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია - 6 სხდომა.
- სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - 6 სხდომა.

როგორც მოგეხსენებათ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გარდა კომისიებისა, დაფუძნებულია ასევე **ფრაქციები**, რომლებიც წარმოადგენენ საერთო შეხედულების მქონე საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობით გაერთიანებას. ისინი ჩართულნი არიან სხვადასხვა პროექტების განხილვაში. ჩვენი სურვილია, რომ მათ კიდევ უფრო აქტიურად განახორციელონ რეგლამენტით

გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, გამოხატონ და გაატარონ საკუთარი კურსი საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

დღეს საკრებულოში შექმნილია ხუთი ფრაქცია. ესენია:

- „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 12 სხდომა;
- „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ – 5 სხდომა;
- „ქართული ოცნება – მრეწველები“ – 5 სხდომა;
- „ქართული ოცნება - მწვანეები“ – 5 სხდომა;
- „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ - 3 სხდომა.

მე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ, გარდა რეგლამენტით განსაზღვრული სხდომებისა, დავწერე თანამდებობის პირებთან ყოველკვირეული სამუშაო შეხვედრები, სადაც მიმდინარეობს მსჯელობა პრობლემური საკითხების გადაწყვეტისა და აღმოფხვრის მიზნით, თითოეული თანამდებობის პირის მიერ ხდება მიმდინარე პრობლემებზე აქცენტის გაკეთება, რაც გვეხმარება უფრო ოპერატიულად და კოორდინირებულად ვუზრუნველყოფთ მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი ყველა პრობლემის დაჯგუფება პრიორიტეტების მიხედვით და მათი გადაჭრა.

როგორც მოგეხსენებათ, საკრებულო, როგორც წარმომადგენლობითი ორგანო უზრუნველყოფს სხდომების გამართვას, სამართლებრივი აქტების შემუშავებას, განხილვასა და მიღებას.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა: 27 საკრებულოს სხდომა და 14 ბიუროს სხდომა.

საანგარიშო პერიოდში მიღებული იქნა: 78 - დადგენილება; 137 - განკარგულება; 279 - თავმჯდომარის ბრძანება.

აქვე უნდა აღინიშნოს საკრებულოს აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების ორგანიზაციულ-ტექნიკურ გამართვას. ის წარმოადგენს საკრებულოს სწორი მუშაობის ხერხემალს, აპარატის თანამშრომლები უზრუნველყოფენ ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ, ანალიტიკურ და საინფორმაციო მომსახურებას. აპარატს დიდი წვლილი შეაქვს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, კომისიებისა და ფრაქციების სხდომების გამართულ მუშაობაში, აგრეთვე საკრებულოს და საკრებულოს თანამდებობის პირთა მიერ სხვა ღონისძიებების ჩატარებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამშრომელთა შორის ფუნქციები და უფლებამოვალეობანი განაწილებულია სტრუქტურის მიხედვით. აპარატის უფროსი და თითოეული საჯარო მოხელე

გამორჩევა მაღალი კვალიფიკაციით, პასუხისმგებლობით, შრომისმოყვარეობით. ისინი სწრაფად და ხარისხიანად ახორციელებს საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

სამთავრობო სტრუქტურებიდან არაერთი წერილია შემოსული, რომლითაც მადლობას გვიხდებიან ოპერატიულობისთვის, სამართლებრივი აქტების სრულყოფილად ატვირთვისთვის და მომზადებისთვის, საჯარო ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდებისთვის, ეს კი აპარატის და თავდაპირველად მათი უფროსის დამსახურებაა.

აპარატის უფროსის, ნინო ძიმიგურის გუნდს მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ღირსეული სამსახურისთვის.

რაც შეეხება უშუალოდ საკრებულოს საქმიანობას.

მიმდინარე წელს, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ და სხვა დარგობრივ კანონებში შესულმა ცვლილებებმა ნათლად დაგვანახა რიგი ნორმატიული აქტების მოქმედ კანონმდებლობასთან მოყვანის საჭიროება, ეტაპობრივად განხორციელდა მათი სამართლებრივად გამართვა.

ანგარიშის ფარგლებში აღნიშვნის ღირსია **რიგი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომელიც წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს და მათი შემუშავება დადებითად აისახება ჩვენი მოსახლეობისთვის.**

- იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ შემუშავდა საკრებულოს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი.** განხორციელდა ისეთი ცვლილებები, რომლებიც უშუალოდ დამოკიდებული იყო პრაქტიკულ საქმიანობასთან, დოკუმენტბრუნვასთან და ამ მხრივ პრაქტიკული მუშაობა უფრო მოქნილი გახდა.

რეგლამენტში ინოვაციას წარმოადგენს მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით განხორციელებული ცვლილებები, უმნიშვნელოვანესი სიახლე არის ის, რომ, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის ძალისხმევით საკრებულოს სხდომების ტრანსლაცია განხორციელდება შენობის პირველ სართულზე განთავსებული მონიტორით, აღნიშნული მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. მოგეხსენებათ, კანონის მიხედვით, საკრებულოს სხდომებზე თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს დაესწროს, ხოლო ადმინისტრაციული შენობის ყველა სართული ამ დრომდე არ გახლავთ ადაპტირებული. შესაბამისად, დღესდღეობით ეს პრობლემა მეტნაკლებად იქნება აღმოფხვრილი და მერის დახმარებით სრულყოფილად და შეუზღუდავად ვუზრუნველყოფთ სხდომების მონიტორზე ჩვენებას.

- გარდა ამისა, **სიახლეა პეტიციების კუთხითაც.** იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის პეტიციები, რომელიც ეხებოდა მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე პეტიციის ელექტრონული პლატფორმის შექმნას. რაც მოქალაქეს მისცემს შესაძლებლობას

ელექტრონული ფორმით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით მოგვმართოს.

- როგორც ცნობილია, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზებისა და მისი იდენტურობის განსაზღვრის საკითხებში საკრებულოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებამოსილებას წარმოადგენს **სსიპ საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების კუთხით თანხმობის გაცემა**. სწორედ იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მხარდაჭერით სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქვემო აკეთის საჯარო სკოლას მიენიჭა აფხაზეთში დაღუპული გმირის გია ტრაპაიძის უკვდავი სახელი.

- რაც შეეხება საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს და მიმდინარე, **2018 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესახებ დადგენილებას**, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით მოაწყო შეხვედრები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ხელმძღვანელებთან და მაჟორიტარ დეპუტატებთან. შეხვედრებისა და კომისიების სხდომებზე განხილვების საფუძველზე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი დაუბრუნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომ აღნიშნულ პროექტში გათვალისწინებული ყოფილიყო:

1. აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ხარჯები.
2. თვითმმართველობების ეროვნული ასოციაციის წევრობის საწევრო გადასახადი (1800 ლარი).
3. დიდთოვლობისგან და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენების შედეგად გამომდინარე გზების მოვლითი ღონისძიებების ხარჯები.
4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში მოთავსების ხარჯები.
5. მომხდარიყო სახელფასო ფონდის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.
6. დამატებით განხილული ყოფილიყო ა(ა)იპ-ების ფუნქციონირების, მათი ზღვრული დაფინანსების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივ სარგოსთან დაკავშირებული საკითხები.
7. სარეზერვო ფონდი, ნაცვლად 30000 (ოცდაათი ათასი) ლარისა, განსაზღვრულიყო 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან ერთობლივი მუშაობის შედეგად აღნიშნული შენიშვნების გარკვეული ნაწილი გათვალისწინებული იქნა 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში, რომლის შემდგომაც როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ, ასევე საკრებულომ მხარი დაუჭირა 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის კორექტირებულ ვარიანტს.

- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ შემუშავდა და საკრებულომ დაამტკიცა **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესი**. რომელიც განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით შექმნილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის მექანიზმს. რომელიც უზრუნველყოფს სარეზერვო ფონდიდან თანხების მიზნობრივ გახარჯვას.

- მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროს კუთხით ეკონომიკის, ქონებისა მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის მიერ შესწავლილი იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული **საპრივატიზაციო გეგმასა და ნუსხაში შესატანი ქონებები**. ასევე კომისიის მიერ რეკომენდაცია მიეცა მერიის შესაბამის სამსახურებს, რათა მიემართათ შესაბამისი სამინისტროსთვის, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული უსახური ქონებები, რომლებიც აუშნოებს და ამახინჯებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იერსახეს და ასევე საფრთხის შემცველია მოსახლეობისთვის და იმყოფება ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე, საბოლოოდ მოხდეს მათი პრივატიზება ან გადმოცემა მუნიციპალიტეტისთვის.

- ეკონომიკის, ქონებისა მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის მიერ ასევე შემუშავებული იქნა **არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი**. ამავე კომისიის მიერ განისაზღვრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ბალანსზე ასევე, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების საბალანსო ნარჩენი ღირებულების გადასახადის განაკვეთი.

- ეკონომიკის, ქონებისა მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის ძალისხმევითა და სრულყოფილი მუშაობით მომზადდა **„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების თაობაზე“ დადგენილების პროექტი**. აღნიშნული წესი შემუშავდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესების, ქუჩებში სისუფთავის დაცვის, მწვანე ნარგავების შენარჩუნების, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოში შემოსულია ა. (ა.) ი. პ. „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-ს წერილი, რომლითაც ორგანიზაცია ითხოვს გამოიყოს ტერიტორია, სადაც მოეწყობა ე.წ. „ჩიხი“ მოთარეშე პირუტყვის დროებითი იზოლაციისთვის. ეს პრობლემა ნამდვილად დგას ჩვენს წინაშე. მოგეხსენებათ, ჩვენს მიერ მიღებული წესის აღსრულება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს აღმასრულებელი ორგანოს (მერის) უფლებამოსილებას, ამიტომ ვიმედოვნებთ, 2019 წლისთვის მაქსიმალურად გაკეთდება ყველაფერი დადგენილების აღსრულების მიზნით.

- ეკონომიკის, ქონებისა მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი **„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მიკუთვნებული მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“**. რომლის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის საკუთრებაში არსებული მწვანე ნარგავების ეკოლოგიური წონასწორობის, ხეების ხნოვანებითი სტრუქტურის, სახეობრივი შემადგენლობისა და ხარისხობრივი

მდგომარეობის შენარჩუნების, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბების, კლიმატური პირობების შენარჩუნებისა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი ფაქტორების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებათა ჩატარებისას წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება.

- სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ განხილულ იქნა **„ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“** დადგენილების 16 პროგრამა და **„ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“** დადგენილების -11 პროგრამა.

აქვე აღვნიშნავ, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიმდინარე წელს 16 სოციალური პროგრამა ფინანსდება (სულ 509 700 ლარით), საჭიროებისამებრ მიზნობრივად ხდება ბენეფიციარზე მორგება. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება როგორც მზრუნველობამოკლებული ბენეფიციარების კვების უზრუნველყოფა, სოციალურად დაუცველი ბავშვების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, ხორციელდება მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების, უსახლკარო ოჯახების ქირავნობის პროგრამაში ჩართვა, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ქრონიკული დაავადების მატარებელ ბენეფიციარებს, ასევე მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს.

მოკლედ სტატისტიკურ მონაცემს ჩამოვაცალიებთ სოციალური პროგრამის კუთხით:

სოციალური პროგრამებით სარგებლობენ:

- მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა - 98 ბენეფიციარი;
- მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა - 30 ბენეფიციარი;
- მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - 56 ბენეფიციარი;
- ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა - 80 ბენეფიციარი;
- მაღალმთიანი სოფლებიდან მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა - 29 ბენეფიციარი;
- ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა - 24 ბენეფიციარი;
- ბიკარბონატული ჰემოდალევით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა - 20 ბენეფიციარი;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა - 44 ბენეფიციარი;

- სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა ისარგებლა 226 ბენეფიციარმა;

- მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის ერთჯერადი დახმარების პროგრამით ისარგებლა სტიქიით დაზარალებულმა 32-მა ოჯახმა, ხოლო 18 ოჯახს გადაეცა თანხა საშემე მერქნისთვის;

- ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის სარგებლობს 54 ბენეფიციარი;

- ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა სარგებლობს 3 ბენეფიციარი;

- უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა - 1 ბენეფიციარი;

- ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამით ისარგებლა 237 ბენეფიციარმა;

- მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამით ისარგებლა 383 ბენეფიციარმა;

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა - 7 ბენეფიციარმა.

ზემოაღნიშნული წარმოადგენს მხოლოდ რამოდენიმე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღწერას.

ანგარიშის ფარგლებში ასევე ყურადღება იქნება გამახვილებული პროექტებზე და პრობლემებზე, გაგაცნობთ თითოეულზე განხორციელებულ პროცედურასა და გატარებულ ღონისძიებებს:

- მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს აზიური ფაროსანასთან ბრძოლა. აზიურმა ფაროსანამ მოსახლეობა მნიშვნელოვნად დააზარალა, ვინაიდან მათი ფინანსური შემოსავლის ძირითადი წყარო - თხილი და ციტრუსი გახლდათ. სერიოზულად შემცირდა სიმინდის მოსავალიც, რაც მოსახლეობის, ასევე შინაური ცხოველებისა და ფრინველების ძირითად საკვებს წარმოადგენდა. ეკონომიკის, ქონებისა მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია აქტიურად იყო ჩართული აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებათა დაგეგმვის პროცესში და მოსახლეობის ინფორმირების მიზნით არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა მავნებლების წინააღმდეგ შეწამვლითი სამუშაოები. ცივი შესხურებით დამუშავდა საყანე ფართობები, ხოლო თერმული ნისლით საკარმიდამო ნაკვეთები. სამუშაოების დაწყების შესახებ მოსახლეობა წინასწარ იყო ინფორმირებული. შეწამვლულ ტერიტორიებზე საგრძნობლად შემცირდა მავნებლების რაოდენობა და ვფიქრობ, რომ ეს პროცესი კიდევ უფრო შედეგიანი იქნება, მომდევნო წლებში.

- ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის მიერ გაიმართა მუშა შეხვედრები მოსახლეობასთან კოლხეთის ეროვნულ პარკსა და საშემე და სამასალე ხე-ტყის

მოპოვებასთან დაკავშირებით. ამავე საკითხებზე შეხვედრები გაიმართა პარლამენტის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის დარგობრივ კომიტეტთან, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროსთან.

- მიმდინარე წელს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ჩაატარა სამუშაო შეხვედრა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომლებთან“ სადაც განიხილეს - საქართველოს კანონის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ მისაღები ნორმატიული აქტების პროექტები.

- ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის გზის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოსახლეობის მიერ წამოჭრილი არაერთი პრობლემური საკითხის მოგვარებისა და დარეგულირების მიზნით.

- მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში გაწეული მუშაობის კუთხით აღსანიშნავია ერთი გაერთიანებული სხდომა (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა; საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიებთან ერთად), გაერთიანებულ სხდომაზე განხილულ იქნა „(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ პირობებიანი აუქციონის ფორმით მართვის უფლების გადაცემასა და აუქციონის პირობებზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

აქტუალობიდან გამომდინარე, მინდა უფრო ვრცლად შევეხო **მუნიციპალიტეტში დასრულებულ, მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.** საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია და მისი წევრები საანგარიშო პერიოდში აქტიურად მონაწილეობდნენ მათ შერჩევაში და განხორციელებაში. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს მაჟორიტარი დეპუტატების აქტიური მონაწილეობა.

- ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებობს მთელი მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმი, წლის მანძილზე სახლ-მუზეუმს უამრავი ტურისტი სტუმრობს, ეწყობა ექსკურსიები, კონცერტები, გამოფენა, შესაბამისად წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სიმდიდრეს, ჩემი, როგორც ნიგვზიანის მაჟორიტარი დეპუტატის ძალისხმევით, ასევე მერისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის გვერდით დგომით მიმდინარეობს სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, ეს წარმოადგენს გარდამავალ პროექტს, მიმდინარე წელს განხორციელდა 631580 ლარის სამუშაოების შესრულება, ხოლო მთლიანი პროექტის ღირებულება შეადგენს 1068116 ლარს.

- ასევე, ჩვენი ხელისუფლების დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯიხეთის დედათა მონასტერთან მისასვლელი გზის აღდგენა, მონასტერს წლიურად

ათასობით ტურისტი სტუმრობს, გარდა ამისა, წარმოადგენს განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის ძეგლს და ჩვენი მოსახლეობის სულიერი აღზრდის წყაროს. პროექტის ღირებულება 964888 ლარს შეადგენს.

- ჩვენი ხელისუფლება და პირადად მე, ვზრუნავთ ახალგაზრდების ჯანსაღ მომავალზე, ეს ერთ-ერთ პრიორიტეტადაც კი არის განსაზღვრული, შესაბამისად ამ კუთხით მნიშვნელოვანი პროექტი დაიგეგმა, ეს არის გვიმბალაურში ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის შენობის რეაბილიტაცია, სადაც გამოყოფილი თანხა შეადგენს 776 774 ლარს. სამშენებლო სამუშაოებს შპს „ნიკა“ აწარმოებს. აკადემია დასავლეთ ზონაში ერთადერთი იქნება და ის 50-60 ბავშვს მოემსახურება. ამავე ეზოში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ სტადიონის მშენებლობაა დაგეგმილი. ბავშვთა საფეხბურთო სკოლის მშენებლობა, დამეთანხმებით, ძალზედ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მომავალი თაობის ჯანსაღ გარემოში ინტეგრაციისთვის.

- გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში მალე დასრულდება მასშტაბური ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, რომლებიც საკრებულოს მიერაა მოწონებული. კერძოდ, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობა ძირფესვიანად რემონტდება, სადაც განთავსდება საქადრაკო სკოლა, რომლის ღირებულება 85000 ლარს შეადგენს, აქედან 50000 ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხიდან ფინანსდება, ხოლო 30000 ლარი რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება. სამუშაოებს შპს „დიდგორი“ ახორციელებს.

- 2018 წელს ქალაქის ტერიტორიულ ერთეულში ხორციელდება წყალგამტარი არხების ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელზეც თანხა გამოყოფილი იყო 365000 ლარი.

- აღსანიშნავია აკეთის, აცანის, ჩიბათის, ნინოშვილის, ნიგვზიანის, მამათის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა, სადაც გამოყოფილი თანხა შეადგენს 715317 ლარს. ასევე მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მოეწყო შიდა გზებზე რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხები, გამოყოფილი თანხა შეადგენს 648163 ლარს.

- განხორციელდა დაზიანებული გზების, ნაპირსამაგრების, ხიდების შეკეთება, დაზიანებული წყალმომარაგების სათავე ნაგებობების აღდგენა. მოსახლეობას გადაეცა სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლის სახურავების აღსადგენად მასალები.

- მოწესრიგდა წლების მანძილზე არსებული პრობლემა, დაფინანსდა ღრმაღელე-წყალწმინდის შემოვლითი (ძველი) გზის რეაბილიტაცია, გამოყოფილი თანხა შეადგენს 2863392 ლარს.

- მოსახლეობისთვის საკეთილდღეო კიდევ ერთ პროექტს ჩაეყარა საფუძველი, რომელიც წლების მანძილზე მოუგვარებელი იყო, დაიგეგმა ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მრავალბინიანი სახლის სახურავების შეკეთება, სადაც დაიხარჯა 105965 ლარი.

- რაც შეეხება გაზიფიცირების საკითხს, სოფელ ჯაპანაში ბუნებრივი აირის ოჯახებში შეყვანა დაიწყო. საერთო ჯამში წლის ბოლომდე ქალაქი და 20-მდე სოფელი იქნება გაზიფიცირებული.

თითოეული საკითხს, განცხადებას, წინადადებას საკრებულოს თანამდებობის პირები მუდმივად ვაკონტროლებთ და ეტაპობრივად მოხდება შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილება. **საკრებულოს ადმინისტრაციული მუშაობის მხრივ აღსანიშნავია შემოსული განცხადებები და წერილები, რომლებზეც რეაგირების მოხდენა უკვე დაწყებულია.**

- პეტიციის სახით ინიციატივით მოგვმართა დ.გოგიჩაიშვილმა, ე.ჭყონიამ და ი.გოროზიამ, ქალაქ ლანჩხუთის ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტების საზოგადოებრივი საპირფარეშოს მოწყობასთან დაკავშირებით. პეტიცია რეზოლუციით შესასწავლად და რეაგირებისათვის დაეწერა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას. კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე, გამოხატა მზაობა, თუმცა სრულყოფის მიზნით და რეაგირებისთვის, აღსრულებისთვის, შესაბამისი თანხების მოძიებისთვის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აღმასრულებელ ორგანოს მიაწოდა, სადაც ჩვენი პოზიცია ნათლად დაფიქსირებული. ინიციატივაზე მიმდინარეობს მუშაობა.

- სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ იმსჯელა ქ.ლანჩხუთის კოსტავას ქუჩის მცხოვრებლების წერილთან დაკავშირებით, რომლებიც მოითხოვენ ამ ქუჩაზე არსებული მაღალი ხეების ამოძირკვას, რაც საფრთხის შემცველია. აღნიშნული განცხადება რეაგირებისათვის გადაეგზავნა შესაბამის სამსახურებს.

- კომისიამ ასევე განიხილა ჟორდანას ქუჩაზე, კერძოდ ქალაქის დასავლეთით არსებული ჭადრების გადაბეღვა, ვინაიდან ხის ტოტები საფრთხეს უქმნის, როგორც ელექტროგადამცემ ხაზებს, ასევე გაზის მაგისტრალსაც. აღნიშნული განცხადება რეაგირებისთვის გაუგზავნეთ მერიას და მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

- კომისიამ იმსჯელა აკეთის ადმინისტრაციული ერთეულის კერძოდ სოფელ ჭანჭათის, ღვინიალის უბნის მოსახლეობის კოლექტიურ განცხადებასთან დაკავშირებით, რომლებიც ითხოვენ შიდა გზის პრობლემების მოგვარებას. აღნიშნული განცხადება რეაგირებისთვის გადაეგზავნა მერიის შესაბამის სამსახურს, ნაწილობრივ აღმოფხვრილია პრობლემა და მიმდინარეობს მუშაობა სრულყოფილად მოგვარების კუთხით.

- გარდა ამისა. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფ ოჯახთა დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა, (რომლის ბიუჯეტი შეადგენს 45000 ლარს და ამჟამად 56 ოჯახი სარგებლობს) უსახლკაროების სრულად დაკმაყოფილება შეუძლებელია.

- სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას განცხადებით მიმართა მეწყერსაშიშ ზონაში მცხოვრებმა 96-მა მოქალაქემ და მოითხოვეს ექსპერტ-გეოლოგების ჩამოყვანა. რაც დაკმაყოფილებულია და გეოლოგები ეტაპობრივად ჩამოდიან. გეოლოგთა დასკვნის მიხედვით გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი სახლი სიძველისგან არის დაზიანებული, რისი დაკმაყოფილებაც ამ პროექტის ფარგლებში ვერ მოხდება, ასევე პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მოქალაქეთა ნაწილს უფიქსირდება მაღალი ქულა. სხვა შემთხვევებში სოციალურ საკითხთა,

განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია მერიასთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან, საჭიროების შემთხვევაში ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან შუამდგომლობის დაყენება.

ყურადღების მიღმა არც **მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები** რჩებიან, ვინაიდან მუნიციპალიტეტისთვის ამ ადამიანების ხელშეწყობა და საზოგადოებაში ინტეგრაცია ერთ-ერთ პირველ საკითხად დგას.

სწორედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, მათი ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი პირობების შექმნის საკითხებზე შეიქმნა მერის სათათბირო ორგანო, რომლის დებულება დამტკიცებულია საკრებულოს მიერ. ასევე გენდერული თანასწორობის საბჭომ და საკრებულოს წევრებმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საჩუქრები უსახსოვრეს.

მიმდინარე წელს საკრებულოს და მერიის ხელშეწყობით 10 -ზე მეტ ბენეფიციარს გადაეცა სპეციალური საჭიროების მქონე ეტლი, ამ კუთხით განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია საკრებულოს წევრის, ელისო ჭიჭინაძის მიერ გაწეული დახმარება და თანადგომა. ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 15 წლის ანზორ გოგუას ეტლთან ერთად კომპიუტერიც გადაეცა, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებთან ერთად საკრებულოს წევრებმა, ზურაბ კუკულავამ, ბესიკ კუპრაძემ და გიორგი გვარჯალაძემ საკუთარი ხარჯებით ერთობლივად შეიძინეს.

აუცილებელია აღინიშნოს **საკრებულოში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს როლზე**, რომელიც შექმნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად. იგი ახორციელებს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზს გენდერული თვალსაზრისით და შეიმუშავებს წინადადებებს გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.

მიმდინარე წელს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის უშუალო მონაწილეობით ოპტიმიზაცია განიცადა ისეთმა მნიშვნელოვანმა დოკუმენტმა, როგორცაა გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება. საბჭო დაკომპლექტებულია როგორც საკრებულოს წევრებით, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით.

გენდერულმა საბჭომ მიმდინარე წელს ჩაატარა ორი სხდომა. განხილულ იქნა საკითხი: „**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა**, გენდერული საბჭოს ინსტიტუციების გაძლიერების მიზნით“. ასევე იმსჯელეს ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობაში თავშესაფრის გახსნის საკითხთან დაკავშირებით, რაც მთლიანად მოავგარებდა არსებულ სოციალურ პრობლემას.

ჩატარდა ტრენინგ-სემინარები თემაზე: „სახელმწიფო იცავს ოჯახში ძალადობის მსხვერპლს“, რომელიც მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობის ინფორმირებულობის კუთხით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შედგა შეხვედრა ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს შორის, რომელსაც გაცნობითი ხასიათი ჰქონდა, მოწვეულ იქნა ლალი მოროშკინა აქტუალური თემით: „საკობრივი ზღვარი და ბედნიერების ფორმულა“, რომლის ავტორია ერიკ ერიკსონი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მიერ მოხდა ათამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ტანსაცმლის გადაცემა, ხოლო გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივითა და საკრებულოს დეპუტატების აქტიური მონაწილეობით საჩუქრები (საცურაო აღჭურვილობა) გადაეცათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს.

გენდერული თანასწორობის საბჭოს შეხვედრაზე სამომავლოდ დაისახა გეგმა, რომ გრანტის მოპოვების შემთხვევაში სხვადასხვა უმოქმედოდ მიტოვებული, უსახური შენობა-ნაგებობები გამოყენებულ იქნას მიზნობრივად. ასევე, ადმინისტრაციულ ერთეულებში აუცილებელია მოსახლეობის აქტივობა და საბჭოს წევრების მიერ ინფორმაციის მიწოდება მათთვის საჭირო საკითხებზე.

საკრებულოს წევრები, თავიანთი უფლებამოსილების განხორციელების პარალელურად, აქტიურად მონაწილეობენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში, მაგალითად, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გახლავთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სტიქიის მიერ დაზიანებული სახურავების შესაძენად ოჯახების დაზუსტების სამუშაო ჯგუფის წევრი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე გახლავთ ლეგალიზაციის კომისიის წევრი, ციციანო ჩხაიძე გახლავთ ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემის მიზნით შექმნილი კომისიის წევრი, აღნიშნული მათ ეხმარებათ საკითხების ოპტიმალურ ვადებში გადაწყვეტის მხრივ.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოციალური პროგრამა გახლავთ ერთჯერადი დახმარების გაცემა. რომელიც ხორციელდება საკრებულოს წევრების შუამგომლობების საფუძველზე, ამ კუთხით დიდი წვლილი შეიტანეს დეპუტატებმაც, რამაც გამოიწვია თანხების მიზნობრივად გაცემა.

რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის რეგულირების და კონტროლის სფეროს, კომისიების მიერ ხდება მერიის სამსახურების ანგარიშების მოსმენა.

საზედამხედველო საქმიანობის მხრივ იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ მოისმინა მერიის იურიდიული სამსახურის ანგარიში, სადაც წარმომადგენლობის კუთხით განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული სასამართლო პროცესების შედეგებზე. ასევე, კომისიის ინტერესის საგანი გახდა მერიის ლეგალიზების კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების მოქალაქეების მხრიდან გასაჩივრების სტატისტიკა. წარმოდგენილი სარჩელებიდან 20% დაკმაყოფილდა მოქალაქეთა სასარგებლოდ. ასევე გაიზარდა განცხადებებზე და საჩივრებზე რეაგირების სტანდარტი შესაბამისი უწყებების მხრიდან. საბოლოო ჯამში, კომისიამ მერიის იურიდიული სამსახურის ანგარიში დადებითად შეაფასა.

2018 წლის აპრილის თვეში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2017 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში მოისმინა. ბიუჯეტით განსაზღვრული პარამეტრები შემოსავლით ნაწილში შესრულებულ იქნა 100,7%-ით. მაგრამ იყო გარკვეული მუხლები, რომლებშიც სრულად ვერ მოხდა თანხების მობილიზება. კერძოდ: 2017 წელს მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შესრულდა მხოლოდ 67,3%-ით, შემოსავლებმა არაფინანსური აქტივების კლებიდან შეადგინა 19,2%, ხოლო მოსაკრებელმა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის - 71,8%. სულ საფინანსო წლის პერიოდში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად როგორც შემოსავალის, ისე ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 5875804 ლარით. ხარჯვითი ნაწილი განსაზღვრული იყო 13314600 ლარით, აქედან ინფრასტრუქტურული პროგრამების დაფინანსებაზე გაიზარდა 5198700 ლარი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის ბიუჯეტით აღებული ვალდებულებები ძირითადად სრულად იქნა შესრულებული. 2017 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მობილიზებული იქნა შემოსავლები საგადასახადო, არასაგადასახადო და არაფინანსური აქტივების კლებიდან 2569500 ლარი, რაც გეგმის 94,4%-ია, მათ შორის საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულდა 100,7%-ით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მუშაობის პრაქტიკიდან გამომდინარე კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ბიუჯეტის პარამეტრები დროულად იქნას განხილული და ვალდებულებები აღებული იქნას რეალური შემოსულობების საფუძველზე. ასევე გაუმართლებელი შემოსავლების დაგეგმვის ხარჯზე არ მოხდეს ბიუჯეტით დამატებით ვალდებულებების აღება, რაც მიგვიყვანს საბიუჯეტო პროცესის დარღვევამდე. ბიუჯეტის პარამეტრების და პრიორიტეტების დაგეგმვისას მომავალი წლის ბიუჯეტი სწორად და მიზანმიმართულად უნდა იქნას განსაზღვრული.

სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ლანჩხუთის მერიის განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურთან ერთად ჩაატარა მონიტორინგი ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში“ არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით.

ანგარიშის ფარგლებში ყურადღება უნდა გავამახვილოთ **მუნიციპალიტეტში არსებულ სხადასხვა აქტივობებზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების ფარგლებში** ტარდება სოც-კულტურული ღონისძიებები, იმართება სასკოლო სპორტული ოლიმპიადები, ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სხვადასხვა აქტივობებში ინტეგრირება, წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისება.

მიმდინარე წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გაიმართა „ევროპის სპორტის კვირეული“ ევროკომისიის ორგანიზებით, რომელიც 2015 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და ხელს უწყობს სპორტული და ფიზიკური აქტივობის პოპულარიზაციას ევროპის მასშტაბით. აღნიშნულ კვირეულში აქტიურად მონაწილეობდა სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები. ღონისძიებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართა, სადაც უშუალოდ მონაწილეობდნენ საკრებულოს წევრებიც. „ევროპის სპორტის კვირეული“ იმართება ყველასთვის,

განურჩევლად ასაკისა, სპორტული გამოცდილებისა, თუ ფიზიკური მომზადების დონისა. კამპანიამ მოუწოდა მოსახლეობას, იცხოვრონ ცხოვრების ჯანსაღი წესით, იყვნენ აქტიურები.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებების კუთხით, რაც ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობისთვის, კულტურის, ტრადიციების, ნიჭის წარმოჩენისთვის. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ არჩეულში, ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმში, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფესტივალი „არტ-გენი“ პირველად ჩატარდა. რაშიც აქტიურად ჩაება სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, მუზეუმის ეზოში გამოიფინა ხალხური რეწვის ნიმუშები. მაყურებლის წინაშე რეგიონული ანსამბლები და სახალხო მთქმელები წარდგნენ, სცენა დაეთმოთ საბრძოლო ხელოვნების წარმომადგენლებს „შავფაროსნებს“. დასკვნითი კონცერტი კი ჯგუფმა „ფრანმა“ გამართა. მსგავსი ტიპის ფესტივალების გამართვა მნიშვნელოვანია ჩვენი მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციისთვის, ვინაიდან მუნიციპალიტეტს უამრავი ადამიანი სტუმრობს, ეცნობა ადგილობრივ ფოლკლორს და კულტურას.

მოგეხსენებათ, ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარი როლი და მიზანია **საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა.**

სწორედ, მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა დასახლების საერთო კრება, რომელიც კორექტირებული იქნა, დაიხვეწა და უფრო თვალნათლივ ჩამოყალიბდა პროცედურები, ასევე გაფართოვდა საკითხთა წრე, რომელთა გადაწყვეტაში მოსახლეობა იღებს მონაწილეობას.

მოგეხსენებათ, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მაქსიმალურად უზრუნველყონ მოქალაქეთა ინფორმირებულობა და მონაწილეობა. სწორედ, ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გასაზრდელად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში სამოქალაქო ჩართულობის ახალი მექანიზმი დაინერგა.

მე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ დავნერგე მოქალაქეთა ყოველკვირეული მიღება. მიმდინარე წელს 300-ზე მეტი მოქალაქე იმყოფებოდა მიღებაზე, მომართვიანობა ძირითადად სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების მიმართულებით ჭარბობს. დაფიქსირებული პრობლემების დაახლოებით 80% მოგვარებულია, ხოლო დანარჩენი ეხება სახლებით უზრუნველყოფას, რომლის დაკმაყოფილების შესაძლებლობა ამ ეტაპზე ბიუჯეტში არ მოიპოვება.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ მოაწყო გასვლითი სხდომა ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში. კომისიის გასვლით სხდომას ესწრებოდა ქალაქის ადგილობრივი მოსახლეობა, განხილული იქნა ქალაქის საჭირობოროტო ინფრასტრუქტურული საკითხები და შეძლებისდაგვარად მოხდა დანხარების გაწევა.

მოგეხსენებათ, საკრებულოს საკრებულოს წევრებთან, მერთან და მერიის სამსახურის უფროსებთან ერთად შევხვდით ყველა ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას, ადგილზე

მოვისმინეთ მათი პრობლემების შესახებ და გავცანით არსებულ მდგომარეობას. ძირითადად დასახელდა სოციალური, ინფრასტრუქტურული და გაზიფიცირების პრობლემები.

საანგარიშო პერიოდი განსაკუთრებული სიახლეებით გამოირჩეოდა, ერთ-ერთს კი წარმოადგენს საკრებულოს მიერ ოზურგეთის „პროგრესის სახლთან“ და „ახალგაზრდა რესურსცენტრთან“ თანამშრომლობით განხორციელებული პროექტი სახელწოდებით: „თვითმმართველობის ეფექტურობის გაძლიერება მოსახლეობის ინფორმირების ახალი მეთოდების გამოყენებით“. აღნიშნული გულისხმობს საკრებულოს სხდომების პირდაპირ ტრანსლირებას.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სოციალური ქსელის საშუალებით (საკრებულოს ფეისბუქ-გვერდზე) თვალი ადევნონ სხდომების მიმდინარეობას, დაუსვან კითხვები საკრებულოს წევრებს, დააფიქსირონ თავიანთი აზრი განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით და ა.შ. ვფიქრობთ, რომ მსგავსი მექანიზმების დანერგვა მეტად ხელს შეუწყობს საკრებულოს მუშაობის კიდევ უფრო ეფექტურობასა და გამჭვირვალობას.

აქვე აღვნიშნავ, რომ ერთ წელზე მეტია დანიერგა ინფორმირების სისტემა, რაც გულისხმობს საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების გასამართი სხდომების შესახებ მოქალაქეებისთვის სატელეფონო მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნას.

მოგეხსენებათ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო სარგებლობს სოციალური ქსელით (Facebook), სადაც პერმანენტულად ქვეყნდება ბიუროს, კომისიის, ფრაქციის, საკრებულოს სხდომების შესახებ ინფორმაცია და ყველა ის ღონისძიება, რომელშიც საკრებულოს წევრები ღებულობენ მონაწილეობას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური ქსელით სარგებლობა ვერ მიიჩნევა ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტის სრულფასოვან დაცვად, ვინაიდან მათი სპეციფიკური ფორმატიდან გამომდინარე, მსგავსი სოციალური ქსელები ინფორმაციის გასაჯაროების მხოლოდ დამხმარე და არა ძირითად საშუალებას წარმოადგენენ.

როგორც იცით, ფუნქციონირებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი www.lanchkhuti.org.ge, სადაც პროაქტიულად ქვეყნდება საკრებულოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. თუმცა ყველას მოგეხსენებათ, აღნიშნული ვებ-გვერდს ბევრი ხარვეზი აქვს, არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტის მოთხოვნებს, რაც გვერდს სრულყოფილ სახეს არ აძლევს.

გაცნობებთ, რომ სულ მალე ამოქმედდება ახალი ვებ-გვერდი, რომელიც იქნება თანამედროვე, გამჭვირვალე, ინფორმაციული და რაც მთავარია ხელს შეუწყობს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას.

მიმაჩნია, რომ ჩვენს საკრებულოს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ბიუროსა და თითოეული საკრებულოს წევრთან ერთად, მუნიციპალიტეტის მერთან, სხვა აღმასრულებელ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთთანამშრომლობით, ერთობლივი ძალისხმევით ნამდვილად შევძლებთ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების დაძლევის, მოგვარებას.

საკრებულოს აპარატის ხელშეწყობით მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტები, სხვადასხვა უწყებებსა და ორგანიზაციებთან გასაგზავნი წერილები, მიმართვები და სხვა დოკუმენტები:

- მუნიციპალიტეტის მერიიდან და სხვა ორგანიზაციებიდან შემოსულია 137 პროექტი, მათ შორის: **2017 წელს** – 24, **2018 წელს** – 113 შესაბამისად მიღებულია გადაწყვეტილებები (ბრძანება, განკარგულება, დადგენილება);

- რაიონს გარეთ საკრებულოდან გაგზავნილია - 257 წერილი, მათ შორის: **2017 წელს** – 48 , **2018 წელს** – 209.


- რაიონს გარეთ ორგანიზაციებიდან შემოსულია 54 წერილი, მათ შორის 2017 წელს - 3 , 2018 წელს - 53.

- რაიონული ორგანიზაციებიდან შემოსულია 155 წერილი, მათ შორის 2017 წელს - 22 , 2018 წელს- 133.

- შემოსულია 124 განცხადება, მათ შორის: **2017 წელს** – 16, **2018 წელს** – 108 . დაკმაყოფილებულია ყველა (შვებულება, ხელფასის ცნობა, საკრებულოს სხდომაზე დასწრება, სამუშაო ადგილის შესახებ ცნობა).

- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოსულია 22 განცხადება, დაკმაყოფილდა ყველა.

- საკრებულოდან საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მერიაში გაგზავნილია 173 წერილი, მათ შორის **2017 წელს** - 41, **2018 წელს** - 132.




1- საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

2- საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

3 – სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

4 – სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

5 – ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია



- 1- ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“
- 2- ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“
- 3 – ფრაქცია ქართული ოცნება - მრეწველები“
- 4 – ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“
- 5 – ფრაქცია „ლანჩუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“

საკრებულოს მუშაობის სტატისტიკური მონაცემი

■ საკრებულოს მუშაობის სტატისტიკური მონაცემი

